

თავი 32 დოქტრინერი

ჯონათანი მიჰყვა ჯორჯს, რომელიც სამედიცინო დახმარების მოსაძებნად ლორდთა სასახლიდან გავიდა. სასახლის გასწვრივ თეთრი შენობები ჩამწკრივებულნი იყვნენ. ისინი უახლოეს კარში შევიდნენ. შუა გზაში იყვნენ, რომ ერთ-ერთი ღია ფანჯრიდან საშინელი კივილი მოისმა. ჯონათანმა სასწრაფოდ მიაშურა ფანჯარას. სწორედ იმ დროს მივიდა, როცა ვიღაც დარაბებს ხურავდა. ერთ-ერთ დარაბას ჩაეჭიდა, რათა ფანჯრის დაკეცივის საშუალება არ მიეცა.

– გაეთრიე! – შიგნიდან ყვიროდა ქალი. მისი სიბრაზით გაწითლებული სახე კონტრასტს ქმნიდა თეთრ უნიფორმასთან, რომელიც თავიდან ფეხებამდე ფარავდა.

– რა ხდება მანდ? – დაუინებოთ იკითხა ჯონათანმა, – ვინ ყვირის?

– რა შენი საქმეა, წადი აქედან!

სასოწარკვეთილმა ჯონათანმა უფრო მაგრად მოჰკიდა ხელი დარაბას.

– არ წავალ, ვიდრე არ მეტყვი, რას აკეთებთ. მგონი მანდ ვიღაცას ტკივილს აყენებთ!

– რა თქმა უნდა, ვიღაცას ტკივილს ვაყენებთ, აბა სხვანაირად როგორ ვუმკურნალოთ? დამიჯერეთ, მე ექიმი ვარ.

ჯონათანმა ქალის უნიფორმაზე ამოქარგულ სახელს მოჰკრა თვალი „ექიმი აბიგაილ ფლექსნერი“ და დაწინარდა. ჯონათანმა ღრმად ამოისუნთქა:

– თქვენ ხალხს ტკივილს აყენებთ, რომ უმკურნალოთ? რატომ უბრალოდ თავს არ დაანებებთ?

– ჩვენ დემონები უნდა დავხოცოთ და ზოგჯერ ამ მიზნით პაციენტისთვის ტკივილის მიყენება გვიწევს, – ექიმი ფაქტებზე დაყრდნობით ლაპარაკობდა. ჯონათანის დიდგულობით შეწუხებული აქეთ-იქით იხედებოდა, რომ ამ თავხედი ახალგაზრდისგან თავის დასახსნელად ვინმესთვის დახმარება ეთხოვა.

– კარგი, – თქვა მორჩილად, – დაგიმტკიცებთ, რომ ჩვენ ხალხს ვეხმარებით. გვერდითი კარიდან შემოდით და პატარა ექსკურსიას ჩაგიტარებთ ინსტრუქტაჟის თანხლებით.

დაეჭვებულმა ჯონათანმა ბოლოს და ბოლოს ხელი გაუშვა დარაბას და გვერდითი კარისკენ წავიდა. ჯორჯი და მისი თანმხლები პირებიც ამ კარში შევიდნენ, მაგრამ ჯონათანს არც ერთი მათგანი არ დაუნახავს. იგი სხვადასხვა ასაკის ხალხით სავსე ოთახში შევიდა. ისინი კედლის გასწვრივ მხარდამხარ ჩამწკრივებულნი იყვნენ, ზოგი იჯდა, ზოგი – იდგა. ზოგიც ხმამაღლა ამთქნარებდა და ბინტებითა და არტაშანით შეხვეული კიდურებით იზმორებოდა. ზოგი რაღაცას ლულულულებდა, ბოლთას სცემდა ან საყვარელ ადამიანებს ამშვიდებდა. ზოგს თან საწოლისა და სამზარეულოს ნივთები წამოეღო, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ დიდი ხნით აპირებდნენ აქ დარჩენას. ჯონათანი დაინტერესდა, რამდენი ხანი მოუწევდათ ამ ადამიანებს ლოდინი.

ექიმმა ფლექსნერმა შიდა კარი გააღო და თავით ანიშნა ჯონათანს, მომყევო. ყველამ მაშინვე შეწყვიტა მუშაობა და გაირინდა. იქ მყოფები შურით მიაჩერდნენ ჯონათანს, რომელმაც წინ ჩაუარა. ექიმმა მას უფანჯრო ოთახზე მიუთითა, სადაც უამრავი მაგიდა, მოხელე და ჭერამდე ასული ქალაქლების დასტები იყო. იგი ჯონათანს კიდევ ერთი კარისკენ გაუძღვა, რომელიც ლოჟებითა და დასაჯდომი ადგილებით გარშემორტყმულ პატარა ამფითეატრის სცენაზე გადიოდა. ჯონათანს ქიმიური ნივთიერებისა და საშინელი მყრალი სუნე ეცა.

მაყურებლები ლოჟის მოაჯირზე გადმოყუდებულიყვნენ. დაბლა კი თეთრებში ჩაცმული რამდენიმე ქალი და მამაკაცი, სავარუდოდ ექიმები და ექთნები, თავს დასტრიალებდნენ დაბალ მაგიდაზე დაბმულ ზორბა პაციენტს.

– მსგავსი პაციენტების განსაკურნებლად, – იღუმალი ხმით წასჩურჩულა ექიმმა, – მართლმადიდებელი მორწმუნეები ვენებს უხსნიან ავადმყოფს, რათა სისხლი გამოუშვან და სისხლთან ერთად დემონიც განდევნონ. ამ შემთხვევაში ჩვენ

წურბელებს მივმართავთ ხოლმე, – მან პაციენტის გვერდით მდგომ მაგიდაზე მიუთითა, სადაც მთელი წყება დანები, ხერხები, სანთლები, ასევე სხვადასხვა ზომისა და ფორმის სინჯარები ეწყო. უზარმაზარი ლითონის თასის კიდეზე ადამიანის ცერის სისქის წურბელები დახოსავდნენ და იკლაკნებოდნენ. ჯონათანმა გულისრევა იგრძნო.

– ამან თუ არ გაამართლა, მერე ჩვენი სწავლულები ქიმიური ნივთიერებებით წამლავენ დემონებს. ჩვენ გვირჩევენია ამ დროს გამოვიყენოთ დარიშხანი, ანტიმონიტი და ვერცხლისწყლის სხვა კომპონენტები. რამხელა პროგრესს მივალწევთ მედიცინაში. დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები, თანამედროვეობიდან ერთი საუკუნის შემდეგ ექიმები გაოცდებიან ჩვენი მიღწევებით.

– განა ეს შხამები მომაკვდინებელი არ არის? – იკითხა ჯონათანმა. მას გაახსენდა, რომ ბიძამისი ამავე შემადგენლობის წამალს ყიდდა ვირთხების დასახოცად. მას ბუნდოვნად ახსოვდა, როგორ უამბობდნენ ძველები მსგავსი საშიში ნივთიერებების შესახებ, რომლებიც უწინ მედიცინაში გამოიყენებოდა. მაგრამ ნუთუ ამ მეთოდებს კიდევ იყენებდნენ?!

– ამას თავს ვერ ავარიდებთ, – თქვა ექიმმა დარწმუნებით, – გაკვეთა, ამოკვეთა და მოწამვლა უსაფრთხო და ეფექტური მკურნალობის ერთადერთი მეთოდია.

– ხშირად ამართლებს ეს მეთოდი?

– მსგავსი მკურნალობა 100%-ით წარმატებით მთავრდება დემონების განადგურებით.

ჯონათანი გაოგნდა. ერთ-ერთმა ექიმმა პაციენტს მუცელი გაუჭრა. სისხლის შესეფებმა ამოხეთქა.

– რა სჭირს?

– კაკლისებრი პარკუჭის ოპსონინური ღპობა, – უპასუხა ექიმმა ფლექსნელმა, – დიაგნოზში დარწმუნებულები ვართ.

– მის განკურნების სხვა მეთოდი არ არსებობს?

– ჰმ, – ცინიკურად ჩაიცინა ექიმმა, – ზოგიერთი სხვაგვარად ფიქრობს. მადლობა ღმერთს, ამ ექიმმაშებს არ აქვთ ლიცენზია, რომ მკურნალობის პროცესი ჩაატარონ. ხალხისთვის საკმარისი არ არის ჩვენი ექიმების ხარისხის სერტიფიცირება. იმისათვის, რომ არჩევანი ამა თუ იმ ექიმზე შეაჩერონ, როგორმე უნდა აღმოვფხვრათ იმ თაღლითების მოქმედება, რომლებიც ხალხს ატყუებენ და არალიცენზირებული წამლებით მკურნალობენ. უნიშნავენ სულელურ დიეტებს, ყველას ერთი სისტემით მკურნალობენ, მცენარეებით, ნემსებით, შეხებით, ღოცვებით, სუფთა ჰაერით, ვარჯიშით, ზოგჯერ – არ დამიჯერებთ და – სიცილითაც კი, – მან ჩაიქირქილა, – როცა მათ ვიჭერთ, ზოოპარკის გალიაში ვამწყვდევთ და გასაღებს ვაგდებთ.

– მსგავსი მკურნალობა შედეგს თუ იღებს? – ფრთხილად იკითხა ჯონათანმა.

– ჰმ, თუ შედეგი გამოიღო, ეს უბრალო დამთხვევა იქნება და მეტი არაფერი, – უპასუხა ექიმმა.

ჯონათანმა შეამჩნია, რომ ქალს სახე შეშუპებული და შესიებული ჰქონდა. მისი მუწუკებიანი წითელი ცხვირი ერთადერთი ადგილი იყო, რომელსაც რაღაც ფერი მაინც შერჩენოდა მის ნაცრისფერ სახეზე. სახე ნაცრისფერი ღრუბლებით დაფარულ ცას მიუგავდა, სუნთქვა კი კაცს მოკლავდა.

– მაგრამ რა მოხდება, თუ პაციენტი მაინც ამ წამლებს აირჩევს? – ჩაურთო ჯონათანმა, – ეს ხომ მისი სიცოცხლეა?

– ზუსტად! – იყვირა ექიმმა. ჯონათანმა მისი საყვარელი თემა წამოჭრა. ექიმმა ჯონათანი მოაჯირს მოაშორა, სქელი ხელები წინ გადაიჯვარედინა, თან ერთი ხელი ნიკაპთან მიიტანა. მგზნებარე საუბარი დაიწყო:

– მისი სიცოცხლე? ზოგიერთი ეგოისტი პაციენტი ფიქრობს, რომ სიცოცხლე მხოლოდ მას ეკუთვნის. მათ ავიწყდებათ, რომ თითოეულის სიცოცხლე ყველას ეკუთვნის. ჩვენ ყველა ერთი უწყვეტი ძაფით ვართ დაკავშირებული წინაპრებიდან შთამომავლობამდე. ყველა ერთ დიდ მთლიანობას მივეკუთვნებით. საზოგადოების

კეთილდღეობისთვის სწავლულმა პროფესიონლებმა უნდა დაიცვან პაციენტები მათივე მცდარი აზროვნებისგან. წარმოიდგინეთ, ზოგ პაციენტს თავის მოკვლა უნდა. ჩვენ უკეთ ვართ მომზდებული იმისთვის, რომ გადავწყვიტოთ, როდის და როგორ ვუმკურნალოთ მათ.

იგი შეჩერდა, ცოტა დაფიქრდა და განაგრძო:

– გარდა ამისა, ლორდთა საბჭოც დიდსულოვნად ფარავს კუნძულზე სამედიცინო გადასახადების ხარჯებს. პრიორიტეტების დასახვა ფიზიკური შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით ხდება. ის, ვინც ჯანმრთელია, გადასახადების რიგში დგას, პაციენტები კი მოსაცდელ რიგში დგანან. ეს ორი რიგი ერთმანეთზეა დამოკიდებული. ასე რომ, ჩვენ პაციენტებს ნებას ვერ მივცემთ, ხალხის ფულის ხარჯზე სავალალო შეცდომები ჩაიდინონ.

ოთახიდან ტკივილით გამოწვეული გმინვა მოისმა და იატაკზე დადგმულ თასში სისხლის ნაკადმა დაიწყო დენა. დამსწრე პირები ბრძანებებს ემორჩილებოდნენ. იქ მყოფი ქირურგი უფრო და უფრო მეტ ინსტრუმენტებსა და სახვევებს ითხოვდა. ჯონათანის გვერდით მდგომ ექიმს სახეზე შეწუხებული იერი დაედო.

– მე ვგრძნობ ამ ტკივილს, – დაიჩურჩულა მან.

– ვინ მოგცათ ეს ლიცენზია? – ჰკითხა ჯონათანმა, – ლიცენზია, რომელიც უფლებას გაძლევთ სხვების სიკვდილ-სიცოცხლის საქმე გადაწყვიტოთ?

– ამას წლების განმავლობაში ხანგრძლივი მომზადება სჭირდება. ამისთვის აუცილებელია ორთოდოქსული სამედიცინო განათლება მიიღო და მთელი რიგი ტესტები ჩააბარო. ლორდთა საბჭოში ჩვენი ერთ-ერთი მეგობრის მხარდაჭერით ჩვენ კორუმპოში არსებული ორი სამედიცინო სკოლიდან ერთი დაგხურეთ, რათა მაღალი ორთოდოქსული სტანდარტები შეგვენარჩუნებინა. ეს სტანდარტები სამედიცინო კვლევებისა და წმინდა ტრადიციების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ორთოდოქსული მედიცინის კეთილმოსურნე დამცველთა გილდია აწესებს და აძლევს ლიცენზიებს პრაქტიკოს მკურნალებს საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით.

– კარგად გიხდიან? – ჰკითხა ჯონათანმა.

– მოფრჩეთ საუბარს, – მოუჭრა მობეზრებულმა ექიმმა ჯონათანს და გასასვლელისკენ გაუძღვა.

მაგრამ ჯონათანი კითხვების დასმას განაგრძობდა.

– კარგსა და ცუდ ექიმებს როგორ განასხვავებთ?

– ყველა ლიცენზირებული ექიმი თანაბრად კარგია. რა თქმა უნდა, არის ჭორები, დადის ხმები, რომლებსაც ჩვენ ვერ შევაჩერებთ, მაგრამ ვცდილობთ, – ექიმმა სწრაფად უბიძგა ჯონათანს უკანა გასასვლელისკენ და კარი ურდულით გადააკეტა.